

No. 58192*

**Georgia
and
Germany**

Agreement between the Government of Georgia and the Government of the Federal Republic of Germany on cooperation in the field of culture (with annex). Berlin, 13 September 2022

Entry into force: 25 March 2024 by notification, in accordance with article 18(1)

Authentic texts: Georgian and German

Registration with the Secretariat of the United Nations: Georgia, 9 April 2024

**No UNTS volume number has yet been determined for this record. The Text(s) reproduced below, if attached, are the authentic texts of the agreement /action attachment as submitted for registration and publication to the Secretariat. For ease of reference they were sequentially paginated. Translations, if attached, are not final and are provided for information only.*

**Géorgie
et
Allemagne**

Accord entre le Gouvernement de la Géorgie et le Gouvernement de la République fédérale d'Allemagne sur la coopération dans le domaine de la culture (avec annexe). Berlin, 13 septembre 2022

Entrée en vigueur : 25 mars 2024 par notification, conformément au paragraphe 1 de l'article 18

Textes authentiques : géorgien et allemand

Enregistrement auprès du Secrétariat de l'Organisation des Nations Unies : Géorgie, 9 avril 2024

**Aucun numéro de volume n'a encore été attribué à ce dossier. Les textes disponibles qui sont reproduits ci-dessous sont les textes originaux de l'accord ou de l'action tels que soumis pour enregistrement. Par souci de clarté, leurs pages ont été numérotées. Les traductions qui accompagnent ces textes ne sont pas définitives et sont fournies uniquement à titre d'information.*

[TEXT IN GEORGIAN – TEXTE EN GÉORGIEN]

შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა
და
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას
შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის
შესახებ

საქართველოს მთავრობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვრელ მხარეებად“ წოდებულნი,

სურთ რა, გააძლიერონ ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის და გააღრმავონ ურთიერთგაგება,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ კულტურული გაცვლა ხელს უწყობს ხალხთა შორის თანამშრომლობას, ისევე როგორც სხვა ხალხების კულტურის, ინტელექტუალური საქმიანობისა და ცხოვრების წესის გაცნობიერებას,

იხსენებენ რა, ორივე ხალხის მიერ მსოფლიოს საერთო კულტურული მემკვიდრეობისთვის გაწეულ ისტორიულ წვლილს და აცნობიერებენ რა, რომ კულტურული ობიექტების მოვლა და შენარჩუნება სავალდებულო ამოცანაა,

გამოთქვამენ რა სურვილს, ორივე ქვეყნის ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობები გააფართოვონ ყველა სფეროში, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროებში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
მიზანი

ხელშემკვრელი მხარეები ისწრაფვიან, გააღრმავონ ცოდნა მეორე ქვეყნის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შესახებ, და გააღრმავონ თანამშრომლობა ყველა სფეროში და ყველა დონეზე.

მუხლი 2

კულტურული გაცვლა

ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი შესაძლებლობების და რესურსების ფარგლებში იღებენ საჭირო ზომებს მეორე ქვეყნის ხელოვნების, ლიტერატურისა და მსგავსი სფეროების უკეთესად შესასწავლად, და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ერთმანეთს, განსაკუთრებით:

1. ხელოვნებისა და ანსამბლების გასტროლების მოწყობაში და კონცერტების, თეატრალური წარმოდგენების და სხვა მხატვრული ღონისძიებების ორგანიზებაში;
2. გამოფენების, ლექციების და კითხვის ღონისძიებების მოწყობაში;
3. კულტურის სხვადასხვა სფეროს, განსაკუთრებით ლიტერატურის, მუსიკის, საშემსრულებლო და სახვითი ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების გაცვლითი ვიზიტების, ერთობლივი კონფერენციებისა და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებაში, რომელთა მიზანია თანამშრომლობის განვითარება და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა;
4. გამომცემლობების, ბიბლიოთეკების, არქივების და მუზეუმების სფეროში კონტაქტების ხელშეწყობაში და სპეციალისტებისა და მასალების გაცვლაში;
5. მხატვრული, სამეცნიერო, აკადემიური და დარგობრივი ლიტერატურის თარგმნაში.

მუხლი 3

კულტურისა და ენების ცოდნის პოპულარიზაცია

- (1) ხელშემკვრელი მხარეები ცდილობენ ყველა დაინტერესებული პირისთვის მეორე ქვეყნის ენის, კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ეს ასევე ეხება ეროვნულ უმცირესობებთან კულტურულ გაცვლას. ხელშემკვრელი მხარეები შეძლებისდაგვარად მზარს უჭერენ შესაბამის სახელმწიფო და კერძო ინიციატივებსა და ინსტიტუტებს. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ 1995 წლის 1 თებერვლის ჩარჩო კონვენციისა და საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილი სხვა შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული მხარეთა პოტენციური ვალდებულებები ხელუხლებელი რჩება.

(2) ხელშემკვრელი მხარეები, მათი შესაძლებლობებისა და რესურსების ფარგლებში, საშუალებას მისცემენ და გაუადვილებენ მათ ქვეყანაში მეორე მხარის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას და ამასთან მიმართებაში შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობენ ადგილობრივ ინიციატივებს და ინსტიტუტებს. ეს განსაკუთრებით ეხება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებებში პარტნიორი მხარის ენის ცოდნის გავრცელებას. ენის ცოდნის ხელშეწყობის ზომებს განსაკუთრებით წარმოადგენს

1. პედაგოგების, ლექტორების, დარგის მრჩეველების და განათლების სფეროს სხვა ექსპერტების შუამდგომლობა და მივლინება;
2. სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების გამოყოფა და თანამშრომლობა მათ განვითარებაში;
3. მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობა მეორე მხარის მიერ ორგანიზებულ საბაზისო და შემდგომი სწავლების კურსებში, ისევე, როგორც ენის სწავლების მეთოდებისა და ინსტრუმენტების აქტუალური განვითარების შესახებ გამოცდილების გაზიარება;
4. სამაუწყებლო და ტელევიზიის სამსახურების შემოთავაზებების გამოყენება პარტნიორი მხარის ენის სწავლებისთვის, სწავლისთვის და გავრცელებისთვის.

(3) ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღწეულ იქნას მათ სახელმძღვანელოებში მეორე ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურის ასახვა, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას.

მუხლი 4

თანამშრომლობა განათლების სფეროში

ხელშემკვრელი მხარეები შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობენ ყოვლისმომცველ თანამშრომლობას განათლების ყველა დარგში, მათ შორის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, კვლევით ინსტიტუტებსა და აკადემიურ და სამეცნიერო ორგანიზაციებში, არა-სასკოლო პროფესიული განათლების და ზრდასრულთა შემდგომი განათლების

ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სასკოლო და პროფესიული განათლების ადმინისტრაციებში, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მათ ადმინისტრაციებში, ბიბლიოთეკებსა და არქივებში. თითოეული ხელშემკვერელი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სტუდენტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ თბილისში გერმანული საერთაშორისო სკოლის დამთავრების ატესტატი უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო პროცედურაში. ხელშემკვერელი მხარეები თავიანთ ქვეყნებში, შესაბამის ინსტიტუტებს ამხნევენ, რომ მათ

1. ითანამშრომლონ ორმხრივი ინტერესის ყველა სფეროში;
2. ხელი შეუწყონ ურთიერთობებს ორი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს შორის;
3. ხელი შეუწყონ დელეგაციების და კერძო პირების მივლინებას მეორე ქვეყანაში ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით;
4. ხელი შეუწყონ პედაგოგიური და დიდაქტიკური ლიტერატურის, სასწავლო, სადემონსტრაციო და საინფორმაციო მასალების და ფილმების გაცვლას სწავლებისა და კვლევების მიზნით, ისევე როგორც შესაბამისი დარგობრივი გამოფენების ორგანიზებას;
5. შეძლებისდაგვარად გააადვილონ არქივების, ბიბლიოთეკების და სხვა მსგავსი ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყონ ურთიერთგაზიარებას კვლევების, დოკუმენტაციისა და ასევე საარქივო რეპროდუქციების სფეროში.

მუხლი 5

აკადემიური გაცვლა

- (1) ხელშემკვერელი მხარეები ისწრაფვიან, ხელი შეუწყონ მეცნიერების, მასწავლებლების და ინსტრუქტორების, დოქტორანტებისა და სტუდენტების და უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლას საინფორმაციო, სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის, მათ შორის სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობისთვის.

- (2) ხელშემკვრელი მხარეები მათი შესაძლებლობების ფარგლებში გამოუყოფენ მეორე ქვეყნის სტუდენტებს და მეცნიერებს საგანმანათლებლო, საკვალიფიკაციო და კვლევით სტიპენდიებს. მიიღებენ სხვა შესაბამის დამატებით ზომებს აკადემიური გაცვლების მხარდასაჭერად, მათ შორის ბინადრობის ნებართვის გაცემის მარტივი და სწრაფი პროცედურების გამოყენების და მასპინძელ ქვეყანაში ყოფნის პირობების გამარტივების გზით.
- (3) ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას 1997 წლის 11 აპრილის ლისაბონის კონვენციისა და ბოლონიის პროცესის შესაბამისად.
- (4) ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლობენ ერთობლივი აკადემიური ხარისხის გაცემის საკითხზე.

მუხლი 6 კინო და მედია

კინოს, სამაუწყებლო და ტელემედიის სფეროში ხელშემკვრელი მხარეები მათი შესაძლებლობებისა და რესურსების ფარგლებში ხელს უწყობენ თანამშრომლობას შესაბამის ინსტიტუტებს შორის თავიანთ ქვეყნებში, ასევე ფილმების და სხვა აუდიოვიზუალური მასალის წარმოებასა და გაცვლას, რაც შეიძლება ემსახურებოდეს ამ შეთანხმების მიზნებს. ისინი ხელს შეუწყობენ წიგნებისა და გამომცემლობის სფეროში თანამშრომლობას.

მუხლი 7 ახალგაზრდები

ხელშემკვრელი მხარეები ისწრაფვიან, ხელი შეუწყონ ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებს, ასევე თანამშრომლობას ახალგაზრდების საქმიანობაში, არაფორმალური განათლების და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის სფეროში.

მუხლი 8

სპორტი

ხელშემკვერელი მხარეები ხელს უწყობენ თავიანთ ქვეყნებში ოლიმპიურ მოძრაობებსა და სპორტის ფედერაციებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებას, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ათლეტების, მწვრთნელების, სპორტსმენთა დელეგაციების, სპეციალისტების და ექსპერტების გაცვლების ხელშესაწყობად და სპორტული განათლების სფეროში ახალი იდეებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით.

მუხლი 9

ძეგლების მოვლა

ხელშემკვერელი მხარეები თანამშრომლობენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არქეოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოვლის სფეროებში მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, შესწავლისა და მართვის უახლესი მეთოდოლოგიის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების გზით, რა დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი უწყებების მონაწილეობა და გამლიერებული ურთიერთთანამშრომლობა.

მუხლი 10

კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნება და დაცვა

(1) ხელშემკვერელი მხარეები თანხმდებიან, რომ ომის შედეგად დაკარგული ან უკანონოდ გადაადგილებული კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ახლა იმყოფება მათ ტერიტორიაზე, უნდა დაუბრუნდეს მფლობელს ან მფლობელის სამართალმემკვიდრეს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

(2) ისინი აცხადებენ, რომ მათი მიზანია თანამშრომლობის გაფართოება კულტურული მემკვიდრეობით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. ისინი არ დაიშურებენ ძალისხმევას, თავიანთი თანხმობა აისახოს შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებში, მათ შორის „კულტურულ ფასეულობათა უკანონო იმპორტის, ექსპორტის და მათზე საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ზომების შესახებ“ 1970 წლის 14 ნოემბრის კონვენციაში, და მათ შესრულებაში.

მუხლი 11

მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები

ხელშემკვერელი მხარეები თავიანთ ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრებ პირებს, რომლებიც არიან მეორე ხელშემკვერელი მხარის მოქალაქეები ან შესაბამისი წარმომავლობის, აძლევენ მათი ენის, კულტურის, ტრადიციების და რელიგიის შენარჩუნების შესაძლებლობას, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ცენტრებში. ხელშემკვერელი მხარეები ხელს უწყობენ და აიოლებენ მეორე ხელშემკვერელი მხარის ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ეხმარება ამ პირებსა და მათ ორგანიზაციებს. მიუხედავად ამისა, ისინი სათანადოდ ითვალისწინებენ ამ ადამიანების ინტერესებს საერთო დახმარების პროგრამების ფარგლებში. ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა ექვემდებარებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 12

არასამთავრობო ორგანიზაციები

ხელშემკვერელი მხარეები თანამშრომლობის მიზნით უზრუნველყოფენ პირდაპირ კავშირს საზოგადოებრივ ჯგუფებს და ასოციაციებს შორის, როგორცაა პროფესიული კავშირები, ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები, ეროვნული უმცირესობები და ფონდები. ისინი ამხნევენ ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, განახორციელონ პროექტები, რომლებიც ემსახურება ამ შეთანხმების მიზნებს.

მუხლი 13

თანამშრომლობა რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე

ხელშემკვერელი მხარეები ამარტივებენ და ახალისებენ პარტნიორულ თანამშრომლობას რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

მუხლი 14

კულტურის დაწესებულებები და ექსპერტები

(1) ხელშემკვერელი მხარეები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხელს უწყობენ მეორე ხელშემკვერელი მხარის კულტურული დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებას თავიანთ ქვეყნებში.

(2) ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის კულტურულ დაწესებულებებს წარმოადგენს კულტურული ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო ორგანიზაციები, კვლევითი ინსტიტუტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და პროფესიული სასწავლებლები, ასევე მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ზრდასრულთა განათლების, ან პროფესიული მომზადების და გადამზადების დაწესებულებები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები ან სხვა დაწესებულებები, რომლებიც მთლიანად ან ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო სახსრებიდან. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლას, გოეთეს ინსტიტუტს, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურს (DAAD) და საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების გერმანიის ცენტრალურ უწყებას (ZfA).

(3) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კულტურის დაწესებულებებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში ხელშემკვერელი მხარეების მიერ ოფიციალური დავალებებით მივლინებული სპეციალისტების სტატუსი - განსაკუთრებით ინიციატივის „სკოლები: მომავლის პარტნიორები“ (PASCH) და იუნესკოსთვის გერმანული კომისიის საერთაშორისო კულტურული ნებაყოფლობითი სამსახურის (Kulturweit) მრჩეველებისა და მასწავლებლების სტატუსი - რეგულირდება წინამდებარე შეთანხმების დანართით. აღნიშნული დანართი წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15

კონსულტაციები კულტურის სფეროში

ხელშემკვერელი მხარეების წარმომადგენლები, საჭიროებისამებრ ან ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის თხოვნის საფუძველზე, შერეული კომისიის სახით მონაცვლეობით შეიკრიბებიან საქართველოში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული გაცვლების შესაჯამებლად და რეკომენდაციებისა და შემდგომი კულტურული თანამშრომლობის პროგრამების შესამუშავებლად.

მუხლი 16
დავების მოგვარება

ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმების გამოყენებასთან ან ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, გადაწყდება ხელშემკვერელ მხარეთა შორის კონსულტაციების ან/და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 17
ცვლილებების შეტანა

წინამდებარე შეთანხმების დებულებები შეიძლება შესწორდეს და შეიცვალოს ხელშემკვერელ მხარეთა ურთიერთთანხმობით ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც ძალაში შევა იმავე წესით, როგორც წინამდებარე შეთანხმება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 18
ძალაში შესვლა

(1) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის იმ დღიდან, როცა ხელშემკვერელი მხარეები შესაბამისი ნოტით აცნობებენ ერთმანეთს შეთანხმების ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ. გადამწყვეტია ბოლო შეტყობინების მიღების დღე.

(2) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ 1993 წლის 25 ივნისის შეთანხმება აღარ იმოქმედებს დროებითი გამოყენების წესით.

(3) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას შორის 1973 წლის 19 მაისის შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ წყვეტს მოქმედებას საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობების მიმართებაში.

მუხლი 19
მოქმედების ვადა და შეწყვეტა

წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხუთი წლის ვადით. ამის შემდეგ ის გაგრძელდება შემდგომი ხუთ-ხუთი წლის პერიოდებით, თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელ მხარეს დიპლომატიური არხების მეშვეობით ექვსი თვით ადრე არ აცნობებს, მოქმედების შესაბამისი ვადის გასვლისას შეთანხმების მოშლის შესახებ.


მუხლი 20
რეგისტრაცია

გაეროს ქარტიის 102-ე მუხლის შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების გაეროს სამდივნოში რეგისტრაციის ინიცირებას, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ ახდენს საქართველოს მთავრობა. მეორე ხელშემკვრელ მხარეს ეცნობება რეგისტრაციის შესახებ და გადაეცემა გაეროს რეგისტრაციის ნომერი, როდესაც რეგისტრაცია დადასტურდება გაეროს სამდივნოს მიერ.

შესრულებულია, ქ. ბერლინში, 2022 წლის 13 სექტემბერს, ორ დედნად, თითოეული ქართულ და გერმანულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.



საქართველოს მთავრობის სახელით



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობასა
და
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას
შორის
კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ
შეთანხმების
დანართი

1. (1) წინამდებარე დანართის დებულებები ვრცელდება კულტურულ დაწესებულებებზე და მივლინებულ სპეციალისტებზე, რომლებიც მითითებულია წინამდებარე შეთანხმების მე-14 მუხლში.

(2) წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის მივლინებული სპეციალისტები არიან ის სპეციალისტები, რომლებიც ორ ქვეყანას შორის კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში ხელშემკვერელი მხარეების მიერ ოფიციალური დავალებით წარგზავნილი იქნენ კულტურის, მეცნიერებისა და პედაგოგიკის დარგებში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

(3) მივლინებული სპეციალისტების რაოდენობა პროპორციულად უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზანს, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი კულტურული დაწესებულება.
2. (1) მიმღებ სახელმწიფოში შესვლამდე ბინადრობის ნებართვა ვიზის სახით მოთხოვნილი უნდა იყოს მიმღები სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობაში. ბინადრობის ნებართვის გაგრძელებაზე განაცხადის შეტანა შესაძლებელია მიმღებ სახელმწიფოში.

(2) ხელშემკვერელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები განაცხადის საფუძველზე უფასოდ გასცემენ ბინადრობის ნებართვას მივლინებული სპეციალისტებისთვის და ერთ ოჯახში მცხოვრები მათი ოჯახის წევრებისთვის მოქმედი საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად. აღნიშნულ ნებართვებს უნდა ჰქონდეთ მრავალჯერადი შესვლა-გამოსვლის უფლება მათი მოქმედების პერიოდში. ბინადრობის ნებართვა მივლინებულ სპეციალისტებს უნდა აძლევდეს იმ კულტურულ დაწესებულებებში მუშაობის უფლებას, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების მე-14 მუხლითაა განსაზღვრული.

(3) წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის ოჯახის წევრი არის მეუღლე, შვილი, მივლინებული სპეციალისტის მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირი და პირი, რომლის მიმართაც მივლინებულ სპეციალისტს შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილებით აქვს რჩენის ვალდებულება, ასევე რეგისტრირებული პარტნიორი.

3. (1) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები მივლინებულ სპეციალისტებს და მათი ოჯახის წევრებს ათავისუფლებენ საბაჟო გადასახადისაგან და იმპორტისა და რეექსპორტის სხვა გადასახდელებისგან მათ მფლობელობაში არსებულ შემდეგ ნივთებთან მიმართებაში:

ა) საყოფაცხოვრებო ნივთები (მათ შორის პირადი ავტომობილები), თუ ისინი საცხოვრებლად გადასვლამდე მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში გამოიყენებოდა და მიმღებ ქვეყანაში ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის მიღებიდან თორმეტი თვის განმავლობაში გაშვებულია გადასახადებიდან თავისუფალ მიმოქცევაში საბოლოო გამოყენებისთვის;

ბ) მგზავრობის პერიოდში წამლის ტრანსპორტირება მგზავრის პირადი გამოყენებისთვის;

გ) ფოსტის საშუალებით იმპორტირებული პირადი სარგებლობის ნივთები და საჩუქრები, მიმღებ ქვეყანაში მოქმედი რაოდენობისა და ღირებულების ზღვარის ფარგლებში.

(2) გადასახდელებისგან გათავისუფლების მიუხედავად, იმპორტისა და რეექსპორტის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული აკრძალვები და შეზღუდვები.

(3) განბაჟების გარეშე იმპორტირებული საყოფაცხოვრებო ნივთების გაყიდვა ან სხვაგვარად გასხვისება მიმღებ ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ თორმეტი თვის გასვლის ან იმპორტის გადასახდელების გადახდის შემდეგ.

4. ხელშემკვრელი მხარეები ეხმარებიან მივლინებულ სპეციალისტებს და მათი ოჯახის წევრებს იმპორტირებული ავტომობილების რეგისტრაციის საქმეში.

5. ხელშემკვრელი მხარეები მივლინებულ სპეციალისტებს და მათი ოჯახის წევრებს ანიჭებენ შეუზღუდავი გადაადგილების თავისუფლებას მათი სახელმწიფოს

ტერიტორიაზე, თუ შესრულებულია ამ დანართის მე-2 პუნქტის (1) ქვეპუნქტში აღნიშნული პირობები.

6. მივლინებული სპეციალისტების ხელფასები და თანამდებობრივი სარგოს დაბეგვრის საკითხი რეგულირდება საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ მოქმედი შეთანხმებით და ასევე მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი დებულებების შესაბამისად.
7. მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში მივლინებულ სპეციალისტებს და მათი ოჯახის წევრებს ენიჭებათ
 - ა) რეპატრაციის იგივე შეღავათები ეროვნული და საერთაშორისო კრიზისის დროს, როგორც ორივე ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს უცხოელ სპეციალისტებს მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა დებულებების შესაბამისად;
 - ბ) ზოგადი საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებები საზოგადოებრივი არეულობის დროს მათი ქონების დაზიანების ან დაკარგვისას.
8. (1) კულტურის დაწესებულებებს შეუძლიათ მივლინებულ სპეციალისტებთან ერთად ადგილობრივი კადრების დასაქმება. ადგილობრივი კადრები შეიძლება იყვნენ წარმგზავნი სახელმწიფოს, მიმღები სახელმწიფოს ან მესამე სახელმწიფოს მოქალაქეები.

(2) ადგილობრივი კადრების შემთხვევაში მუშაობის დაწყების უფლება, სამუშაო ურთიერთობა და სხვა სამუშაო პირობები რეგულირდება მიმღებ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9. (1) ხელშემკვრელი მხარეები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ათავისუფლებენ კულტურის დაწესებულებებს, ნაცვალებს პრინციპით, მათი საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობის იმპორტისა და რექსპორტის საბაჟო გადასახადისა და სხვა გადასახდელებისგან.

(2) განზაჟების გარეშე იმპორტირებული ნივთების გაყიდვა ან სხვაგვარად გასხვისება მიმღებ ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ იმპორტის გადასახდელების გადახდის შემდეგ

ან მიმღებ ქვეყანაში ამ ნივთების გასხვისებაზე მოქმედი დებულებების პირობების შესრულების შემდეგ.

10. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ხელშემკვრელი მხარეები გასცემენ შემდეგ საგადასახადო შეღავათებს:

ა) ნაცვალგების პირობით იმ პირდაპირი გადასახადებისგან გათავისუფლება, როგორც სახელმწიფო (ფედერაციისა და ფედერალური მხარეების), ასევე ადგილობრივი გადასახადებისგან, რომლებსაც ექვემდებარება აღნიშნული დაწესებულებების მიერ მიწის ნაკვეთების სასყიდლიანი ან უსასყიდლო შეძენა.

ბ) დამატებული ღირებულების საგადასახადო შეღავათები მეორე ხელშემკვრელი მხარის კულტურის დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურებისთვის.

11. (1) ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ კულტურის დაწესებულებების მოქმედების თავისუფლებას. მათ შეუძლიათ პირდაპირ დაუკავშირდნენ სამინისტროებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას, საზოგადოებებს, ასოციაციებს და კერძო პირებს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და თავიანთი მოვალეობების შესაბამისად, კულტურის დაწესებულებებს შეუძლიათ საბანკო ანგარიშების გახსნა და საბანკო ოპერაციების განხორციელება.

(2) თითოეული ხელშემკვრელი მხარე დაუშვებს კულტურის დაწესებულებების და მათი ღონისძიებების შეუზღუდავ საჯარო ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს მათ ჩვეულ ფუნქციონირებას. ღონისძიებებს, რომელსაც კულტურის დაწესებულებები გამართავენ, შეიძლება დაესწრონ ის პირებიც, რომლებიც არ არიან ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები.

3) კულტურული დაწესებულებების მიერ ორგანიზებული მხატვრული და სალექციო ღონისძიებები ასევე შეიძლება იყოს განხორციელებული ისეთი პირების მიერ, რომლებიც არ არიან ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, თუ ისინი აკმაყოფილებენ მიმღებ სახელმწიფოში შესვლისა და ყოფნის პირობებს.

12. ადმინისტრაციული ხასიათის შეღავათები, თუ ამის საჭიროება არსებობს, შეიძლება დარეგულირდეს ხელშემკვრელ მხარეებს შორის ცალკე შეთანხმების სახით ნოტების გაცვლის გზით, თითოეულ ქვეყანაში მოქმედი პირობების გათვალისწინებით.

[TEXT IN GERMAN – TEXTE EN ALLEMAND]

Abkommen

zwischen

der Regierung von Georgien

und

der Regierung der Bundesrepublik Deutschland

über

kulturelle Zusammenarbeit

Die Regierung von Georgien
und
die Regierung der Bundesrepublik
Deutschland,
im Folgenden als „Vertragsparteien“
bezeichnet –

in dem Bestreben, die Beziehungen zwischen beiden Ländern zu festigen und das gegenseitige Verständnis zu vertiefen,

in der Überzeugung, dass der kulturelle Austausch die Zusammenarbeit zwischen den Völkern sowie das Verständnis für die Kultur und das Geistesleben sowie die Lebensformen anderer Völker fördert,

eingedenk des historischen Beitrags beider Völker zum gemeinsamen Weltkulturerbe und in dem Bewusstsein, dass Pflege und Erhalt von Kulturgütern verpflichtende Aufgaben sind,

in dem Wunsch, die kulturellen Beziehungen in allen Bereichen, einschließlich Bildung und Wissenschaft, zwischen der Bevölkerung beider Länder auszubauen,

sind wie folgt übereingekommen:

Artikel 1

Vertragszweck

Die Vertragsparteien sind bestrebt, die Kenntnis der Kultur, des Bildungswesens sowie der Bereiche Sport und Jugend des anderen Landes zu erweitern und die Zusammenarbeit in allen Bereichen und auf allen Ebenen weiter zu vertiefen.

Artikel 2

Kulturaustausch

Um eine bessere Kenntnis der Kunst, der Literatur und verwandter Gebiete des anderen Landes zu vermitteln, führen die Vertragsparteien im Rahmen ihrer Möglichkeiten und Kapazitäten entsprechende Maßnahmen durch und leisten einander nach Kräften Hilfe, insbesondere

1. bei der Organisation von Gastspielen von Künstlern und Ensembles, bei der Veranstaltung von Konzerten, Theateraufführungen und anderen künstlerischen Darbietungen:
2. bei der Durchführung von Ausstellungen sowie der Organisation von Vorträgen und Vorlesungen:
3. bei der Organisation gegenseitiger Besuche, gemeinsamer Tagungen und ähnlicher Veranstaltungen von Vertretern der verschiedenen Gebiete des kulturellen Lebens, insbesondere der Literatur, der Musik, der Darstellenden und Bildenden Künste, die die Entwicklung der Zusammenarbeit und den Erfahrungsaustausch zum Ziel haben:
4. bei der Förderung von Kontakten auf den Gebieten des Verlagswesens, der Bibliotheken, Archive und Museen sowie bei dem Austausch von Fachleuten und Material:
5. bei Übersetzungen von Werken der schöngeistigen, der wissenschaftlichen, der akademischen und der Fachliteratur.

Artikel 3

Kulturvermittlung und Sprachförderung

(1) Die Vertragsparteien bemühen sich, allen interessierten Personen breiten Zugang zu Sprache, Kultur, Literatur und Geschichte des anderen Landes zu ermöglichen. Dies gilt auch für den kulturellen Austausch mit nationalen Minderheiten. Die Vertragsparteien unterstützen

nach Kräften entsprechende staatliche und private Initiativen und Institutionen. Mögliche Verpflichtungen aufgrund des Rahmenübereinkommens vom 1. Februar 1995 zum Schutz nationaler Minderheiten und anderer einschlägiger Übereinkünfte, deren Vertragsparteien Georgien und die Bundesrepublik Deutschland sind, bleiben davon unberührt.

(2) Die Vertragsparteien ermöglichen und erleichtern im Rahmen ihrer Möglichkeiten und Kapazitäten im jeweils eigenen Land Fördermaßnahmen der anderen Seite und unterstützen in diesem Zusammenhang nach Kräften lokale Initiativen und Einrichtungen. Dies gilt insbesondere für den Ausbau der Kenntnisse der Partnersprache an Schulen, Hochschulen und anderen Bildungseinrichtungen, einschließlich denen der Erwachsenenbildung. Maßnahmen der Sprachförderung sind insbesondere

1. die Vermittlung und Entsendung von Lehrkräften, Lektoren, Fachberatern und sonstigen Bildungsexperten;
2. die Bereitstellung von Lehrwerken und Lehrmaterial sowie die Zusammenarbeit bei deren Entwicklung;
3. die Teilnahme von Lehrkräften und Studierenden an Aus- und Fortbildungskursen, die von der anderen Seite durchgeführt werden, sowie ein Erfahrungsaustausch über aktuelle Entwicklungen bei Methoden und Instrumenten des Fremdsprachenunterrichts;
4. die Nutzung der Möglichkeiten, die Rundfunk und Telemedien für die Vermittlung, den Erwerb und die Verbreitung der Partnersprache bieten.

(3) Die Vertragsparteien arbeiten in dem Bemühen zusammen, in den eigenen Lehrwerken eine Darstellung der Geschichte, Geographie und Kultur des anderen Landes zu erreichen, die das gegenseitige Verständnis fördert.

Artikel 4

Bildungszusammenarbeit

Die Vertragsparteien unterstützen nach Kräften eine breit angelegte Zusammenarbeit in allen Bereichen des Bildungswesens einschließlich der Schulen und Hochschulen, Forschungseinrichtungen und akademischen Wissenschaftsorganisationen, Organisationen und Einrichtungen der nichtschulischen beruflichen Bildung und Weiterbildung für Erwachsene, der Schul- und Berufsbildungsverwaltungen, anderer Bildungseinrichtungen und deren Verwaltungen, der Bibliotheken und Archive. In Übereinstimmung mit den innerstaatlichen Rechtsvorschriften der beiden Vertragsparteien dürfen Studierende, die über ein Zeugnis der allgemeinen Hochschulreife der Deutschen Internationalen Schule in Tbilissi verfügen, an dem Verfahren für die Bewerbung um einen Studienplatz in Georgien und in der Bundesrepublik

Deutschland teilnehmen. Die Vertragsparteien ermutigen die einschlägigen Institutionen in ihren Ländern,

1. zur Zusammenarbeit auf allen Gebieten, die von gemeinsamem Interesse sind;
2. die Beziehungen zwischen Bildungseinrichtungen beider Länder und anderen kulturellen Einrichtungen zu fördern;
3. die Entsendung von Delegationen und Einzelpersonen in das andere Land zum Zweck des Informations- und Erfahrungsaustauschs zu unterstützen;
4. den Austausch von pädagogischer und didaktischer Literatur, von Lehr-, Anschauungs- und Informationsmaterial und Filmen für Lehr- und Forschungszwecke sowie die Veranstaltung entsprechender Fachausstellungen zu fördern;
5. den Zugang zu Archiven, Bibliotheken und ähnlichen Einrichtungen und deren Nutzung soweit wie möglich zu erleichtern und den Austausch auf dem Gebiet der Recherche, Dokumentation sowie der Archivalienreproduktionen zu unterstützen.

Artikel 5

Akademischer Austausch

(1) Die Vertragsparteien sind bestrebt, den Austausch von Wissenschaftlern, Lehrkräften und Ausbildern, Doktoranden und Studierenden sowie Verwaltungspersonal an Hochschulen und anderen wissenschaftlichen Einrichtungen zu Informations-, Studien- und Forschungsaufenthalten, einschließlich der Teilnahme an wissenschaftlichen Konferenzen und Symposien, zu unterstützen.

(2) Im Rahmen ihrer Möglichkeiten und Kapazitäten stellen die Vertragsparteien Studierenden und Wissenschaftlern des anderen Landes Stipendien zur Ausbildung, zur Fortbildung und zu Forschungszwecken zur Verfügung. Sie begleiten in geeigneter Weise den akademischen Austausch durch weitere Maßnahmen, unter anderem durch Anwendung einfacher und zügiger Verfahren hinsichtlich der Erteilung der Aufenthaltstitel und durch Erleichterung der Aufenthaltsbedingungen im Empfangsstaat.

(3) Die Vertragsparteien erkennen Qualifikationen im Hochschulbereich in Übereinstimmung mit dem Übereinkommen von Lissabon vom 11. April 1997 und dem Bologna-Prozess an.

Die Vertragsparteien arbeiten in Fragen zusammen, die die Verleihung gemeinsamer Abschlüsse betrifft.

Artikel 6

Film und Medien

Die Vertragsparteien unterstützen auf dem Gebiet des Filmwesens, des Rundfunks und der Telemedien im Rahmen ihrer Möglichkeiten und Kapazitäten die Zusammenarbeit der betreffenden Veranstalter in ihren Ländern sowie die Herstellung und den Austausch von Filmen und anderen audiovisuellen Medien, die den Zielen dieses Abkommens dienen können. Sie ermutigen zur Zusammenarbeit im Buch- und Verlagswesen.

Artikel 7

Jugend

Die Vertragsparteien sind bestrebt, den Jugendaustausch sowie die Zusammenarbeit in der Jugendarbeit, bei der non-formalen Bildung und im Bereich der Zusammenarbeit zwischen Jugendorganisationen zu fördern.

Artikel 8

Sport

Die Vertragsparteien fördern die Aufnahme enger Kontakte zwischen den olympischen Bewegungen und Sportverbänden ihrer Länder, um Erfahrungen zu teilen, den Austausch von Athleten, Trainern, Sportlerdelegationen, Spezialisten und Fachkräften zu fördern und neue Ideen und jüngste Errungenschaften im Sportunterricht zu teilen.

Artikel 9

Denkmalpflege

Die Vertragsparteien arbeiten in Übereinstimmung mit ihren innerstaatlichen Rechtsvorschriften auf den Gebieten der Archäologie, der Erhaltung und Pflege des kulturellen Erbes sowie der Pflege des immateriellen Kulturerbes durch den Austausch von Erfahrungen und Wissen betreffend die modernsten Methoden bei der Erhaltung, der Erforschung und Verwaltung der Erbestätten, wobei die Beteiligung und verstärkte gegenseitige Zusammenarbeit der zuständigen Stellen zu gewährleisten ist.

Artikel 10

Kulturgüterrückführung und Kulturgüterschutz

(1) Die Vertragsparteien stimmen darin überein, dass kriegsbedingt verschollene oder unrechtmäßig verbrachte Kulturgüter, die sich in ihrem Hoheitsgebiet befinden, im Einklang mit dem Völkerrecht an den Eigentümer oder seinen Rechtsnachfolger zurückzugeben sind.

(2) Sie erklären ihre Absicht, die Zusammenarbeit zur Bekämpfung von illegalem Kulturgüterhandel auszubauen. Sie setzen ihre Bemühungen daran, den Ausdruck ihrer Zustimmung, durch die entsprechenden völkerrechtlichen Übereinkünfte einschließlich des Übereinkommens vom 14. November 1970 über Maßnahmen zum Verbot und zur Verhütung der rechtswidrigen Einfuhr, Ausfuhr und Übereignung von Kulturgut gebunden zu sein, und deren Umsetzung voranzutreiben.

Artikel 11

Im Hoheitsgebiet der anderen Vertragspartei lebende Personen

Die Vertragsparteien ermöglichen Personen, die ständig in ihrem Hoheitsgebiet leben und Staatsangehörige der jeweils anderen Vertragspartei oder Personen entsprechender Abstammung sind, die Pflege ihrer Sprache, Kultur, Traditionen und Religion, insbesondere auch in Begegnungsstätten. Die Vertragsparteien ermöglichen und erleichtern Fördermaßnahmen der anderen Seite zugunsten dieser Personen und ihrer Organisationen. Sie berücksichtigen unabhängig davon die Interessen dieser Personen im Rahmen der allgemeinen Förderprogramme auf angemessene Weise. Alle Maßnahmen nach diesem Artikel stehen unter dem Vorbehalt der jeweils geltenden Rechtsvorschriften.

Artikel 12

Nichtstaatliche Organisationen

Die Vertragsparteien ermöglichen direkte Kontakte zwischen gesellschaftlichen Gruppen und Vereinigungen wie Gewerkschaften, Kirchen und Religionsgemeinschaften, nationalen Minderheiten und Stiftungen mit dem Ziel einer Zusammenarbeit. Sie ermutigen solche nichtstaatlichen Organisationen, Vorhaben durchzuführen, die den Zielen dieses Abkommens dienen.

Artikel 13

Regionale und lokale Ebene

Die Vertragsparteien erleichtern und regen die partnerschaftliche Zusammenarbeit auf regionaler und lokaler Ebene an.

Artikel 14

Kulturelle Einrichtungen und Fachkräfte

(1) Die Vertragsparteien erleichtern im Rahmen der jeweils geltenden Rechtsvorschriften die Gründung und Tätigkeit kultureller Einrichtungen der jeweils anderen Vertragspartei im eigenen Land.

(2) Kulturelle Einrichtungen im Sinne des Absatzes 1 sind Kulturinstitute, Hochschulen, Wissenschaftsorganisationen, Forschungseinrichtungen, allgemeinbildende und berufsbildende Schulen sowie Einrichtungen der Lehreraus- und -fortbildung, der Erwachsenenbildung, oder der beruflichen Aus- und Weiterbildung, Bibliotheken und Lesesäle oder sonstige ganz oder überwiegend aus öffentlichen Mitteln finanzierte Einrichtungen. Dies bezieht sich insbesondere auf die Deutsche Internationale Schule in Tbilissi, das Goethe-Institut, den Deutschen Akademischen Austauschdienst (DAAD) und die Zentralstelle für das Auslandsschulwesen (ZfA).

(3) Der Status der in Absatz 2 genannten kulturellen Einrichtungen und der von den Vertragsparteien im Rahmen der kulturellen Zusammenarbeit im offiziellen Auftrag entsandten oder vermittelten Fachkräfte – insbesondere Berater und Lehrer für Schulen im Rahmen der Initiative „Schulen: Partner der Zukunft“ (PASCH) und des internationalen Freiwilligendienstes der Deutschen UNESCO-Kommission (Kulturweit) – wird in der Anlage zu diesem Abkommen geregelt. Die Anlage ist Bestandteil dieses Abkommens.

Artikel 15

Kulturkonsultationen

Vertreter der Vertragsparteien treten nach Bedarf oder auf Ersuchen einer Vertragspartei als Gemischte Kommission abwechselnd in Georgien und in der Bundesrepublik Deutschland zusammen, um Bilanz des im Rahmen dieses Abkommens erfolgten Austauschs zu ziehen und um Empfehlungen und Programme für die weitere kulturelle Zusammenarbeit zu erarbeiten.

Artikel 16

Streitbeilegung

Streitigkeiten über die Anwendung oder Auslegung dieses Abkommens werden zwischen den Vertragsparteien durch Konsultationen beziehungsweise Verhandlungen beigelegt.

Artikel 17

Änderungsklausel

Dieses Abkommen kann im gegenseitigen Einvernehmen der Vertragsparteien in einem gesonderten Dokument geändert werden, das in der gleichen Weise in Kraft tritt wie dieses Abkommen. Das Dokument ist Bestandteil dieses Abkommens.

Artikel 18

Inkrafttreten

- (1) Dieses Abkommen tritt an dem Tag in Kraft, an dem die Vertragsparteien einander notifiziert haben, dass die innerstaatlichen Voraussetzungen für das Inkrafttreten erfüllt sind. Maßgebend ist der Tag des Eingangs der letzten Notifikation.
- (2) Ab dem Inkrafttreten dieses Abkommens wird das Abkommen vom 25. Juni 1993 zwischen der Regierung von Georgien und der Regierung der Bundesrepublik Deutschland über kulturelle Zusammenarbeit nicht länger vorläufig angewendet.
- (3) Ab dem Inkrafttreten dieses Abkommens wird das Abkommen vom 19. Mai 1973 zwischen der Regierung der Bundesrepublik Deutschland und der Regierung der Union der Sozialistischen Sowjetrepubliken über kulturelle Zusammenarbeit in Bezug auf die Beziehungen zwischen Georgien und der Bundesrepublik Deutschland unwirksam.

Artikel 19

Geltungsdauer und Kündigung

Dieses Abkommen gilt für die Dauer von fünf Jahren. Danach verlängert sich die Gültigkeit um jeweils weitere fünf Jahre, sofern das Abkommen nicht von einer Vertragspartei mit einer Frist von sechs Monaten zum Ende der jeweiligen Geltungsdauer auf diplomatischem Wege schriftlich gekündigt wird.

Artikel 20

Registrierung

Die Registrierung dieses Abkommens beim Sekretariat der Vereinten Nationen nach Artikel 102 der Charta der Vereinten Nationen wird unverzüglich nach seinem Inkrafttreten von der Regierung von Georgien veranlasst. Die andere Vertragspartei wird unter Angabe der Registrierungsnummer der Vereinten Nationen von der erfolgten Registrierung unterrichtet, sobald dieses vom Sekretariat der Vereinten Nationen bestätigt worden ist.


Geschehen zu Berlin am 13.09.2022

in zwei Urschriften, jede in georgischer und deutscher Sprache, wobei jeder Wortlaut gleichermaßen verbindlich ist.

Für die Regierung von Georgien

25. 

Für die Regierung der Bundesrepublik
Deutschland



Anlage
zum Abkommen
zwischen
der Regierung von Georgien
und
der Regierung der Bundesrepublik Deutschland
über
kulturelle Zusammenarbeit

1. (1) Die Bestimmungen dieser Anlage gelten für die in Artikel 14 genannten kulturellen Einrichtungen und entsandten Fachkräfte.

(2) Den entsandten Fachkräften im Sinne dieses Abkommens sind die Fachkräfte gleichgestellt, die im Rahmen der kulturellen Zusammenarbeit beider Länder von den Vertragsparteien im offiziellen Auftrag auf kulturellem, wissenschaftlichem und pädagogischem Gebiet entsandt oder vermittelt werden, sofern nichts anderes vereinbart wurde.

(3) Die Anzahl der entsandten Fachkräfte soll in angemessenem Verhältnis zu dem Zweck stehen, dessen Erfüllung die jeweilige kulturelle Einrichtung dient.

2. (1) Vor der Einreise in den Empfangsstaat ist bei einer diplomatischen oder berufskonsularischen Vertretung des Empfangsstaats ein Aufenthaltstitel in Form eines Visums einzuholen. Anträge auf Verlängerung der Gültigkeit können im Empfangsstaat gestellt werden.

(2) Die jeweils zuständigen Behörden der Vertragsparteien erteilen den entsandten Fachkräften und den in ihrem Haushalt lebenden Familienangehörigen auf Antrag gebührenfrei einen Aufenthaltstitel im Rahmen der jeweils geltenden Rechtsvorschriften. Er beinhaltet das Recht auf mehrfache Ein- und Ausreise im Rahmen seiner Gültigkeit. Der Aufenthaltstitel der entsandten Fachkräfte berechtigt zur Ausübung einer Beschäftigung in einer kulturellen Einrichtung im Sinne des Artikels 14 dieses Abkommens.

(3) Familienangehörige im Sinne dieses Abkommens sind der Ehegatte, Kinder, Personen unter Vormundschaft oder in Obhut der entsandten Fachkraft und Personen, für die die entsandte Person nach dem Urteil des zuständigen Gerichts unterhaltspflichtig ist, sowie eingetragene Lebenspartner.

3. (1) Die Vertragsparteien gewähren nach Maßgabe des geltenden Rechts den entsandten Fachkräften und ihren Familienangehörigen Befreiung von Zöllen und anderen Abgaben bei der Ein- und Wiederausfuhr folgender, ihnen gehörender Waren:
 - a) Umzugsgut (einschließlich privater Kraftfahrzeuge), sofern dieses mindestens sechs Monate vor der Übersiedlung benutzt worden ist und innerhalb von zwölf Monaten nach der Begründung des gewöhnlichen Wohnsitzes im Empfangsstaat dort in den zollrechtlich freien Verkehr zur besonderen Verwendung übergeführt wird;
 - b) im Reiseverkehr für den persönlichen Bedarf des Reisenden eingeführte Arzneimittel;
 - c) auf dem Postweg eingeführte persönliche Gebrauchsgegenstände und Geschenke innerhalb der im Empfangsstaat geltenden Mengen- und Wertgrenzen.
- (2) Unabhängig von den abgabenrechtlichen Befreiungen sind bei der Ein- und Wiederausfuhr unter Umständen bestehende Verbote und Beschränkungen zu beachten.
- (3) Abgabefrei eingeführtes Umzugsgut darf im Empfangsstaat erst nach Ablauf einer Frist von zwölf Monaten oder nach vorheriger Entrichtung der Einfuhrabgaben entgeltlich oder unentgeltlich überlassen werden.
4. Die Vertragsparteien unterstützen die entsandten Fachkräfte und ihre Familienangehörigen bei der Registrierung der eingeführten Kraftfahrzeuge.
5. Die Vertragsparteien gewähren den entsandten Fachkräften sowie den zu ihrem Haushalt gehörenden Familienangehörigen, sofern die Voraussetzungen der Nummer 2.1 erfüllt sind, uneingeschränkte Reisefreiheit in ihrem Hoheitsgebiet.
6. Die steuerliche Behandlung der Gehälter und Bezüge der entsandten Fachkräfte richtet sich nach den jeweils geltenden Übereinkünften zwischen Georgien und der Bundesrepublik Deutschland zur Vermeidung der Doppelbesteuerung auf dem Gebiet der Steuern vom Einkommen und vom Vermögen sowie nach den jeweils geltenden Gesetzen und sonstigen Rechtsvorschriften.

7. Den entsandten Fachkräften und ihren Familienangehörigen werden während ihres Aufenthalts im Hoheitsgebiet des Empfangsstaats
 - a) in Zeiten nationaler und internationaler Krisen die gleichen Heimschaffungserleichterungen gewährt, welche die beiden Vertragsparteien ausländischen Fachkräften im Einklang mit den jeweils geltenden Rechtsvorschriften und sonstigen Bestimmungen einräumen;
 - b) die nach dem allgemeinen Völkerrecht bestehenden Rechte im Falle der Beschädigung oder des Verlusts ihres Eigentums infolge öffentlicher Unruhen gewährt.

8. (1) Neben den entsandten Fachkräften können die kulturellen Einrichtungen auch lokale Mitarbeiter einstellen. Die lokalen Mitarbeiter können die Staatsangehörigkeit des Entsendestaats, des Empfangsstaats oder eines Drittstaats haben.

(2) Die Genehmigung zur Arbeitsaufnahme, die Ausgestaltung der Arbeitsverhältnisse sowie die sonstigen Arbeitsbedingungen der lokalen Mitarbeiter richten sich nach den Rechtsvorschriften des Empfangsstaats.

9. (1) Die Vertragsparteien gewähren nach Maßgabe des geltenden Rechts den kulturellen Einrichtungen auf der Grundlage des Prinzips der Gegenseitigkeit Befreiung von Zöllen und anderen Abgaben bei der Ein- und Wiederausfuhr der im Rahmen ihrer Tätigkeit erforderlichen Ausstattungsgegenstände.

(2) Die abgabefrei eingeführten Gegenstände dürfen im Empfangsstaat erst nach vorheriger Entrichtung der Einfuhrabgaben oder nach Erfüllung der für die Überlassung dieser Waren geltenden Bestimmungen des Empfangsstaats entgeltlich oder unentgeltlich überlassen werden.

10. Die Vertragsparteien gewähren im Rahmen der Rechtsvorschriften folgende Steuererleichterungen:
 - a) Befreiung von den direkten Steuern, und zwar sowohl von den staatlichen Steuern (des Bundes und der Länder) als auch von den örtlichen Steuern, denen der entgeltliche oder unentgeltliche Erwerb von Grundstücken seitens der genannten Institute unterliegt, unter der Voraussetzung der Gegenseitigkeit;

- b) umsatzsteuerliche Vergünstigungen für Leistungen, die die kulturellen Einrichtungen der jeweils anderen Vertragspartei erbringen.
11. (1) Die Vertragsparteien garantieren den kulturellen Einrichtungen weitgehende Handlungsfreiheit. Sie können mit Ministerien, anderen öffentlichen Einrichtungen, Gebietskörperschaften, Gesellschaften, Vereinen und Privatpersonen unmittelbar verkehren. Die kulturellen Einrichtungen dürfen im Rahmen der Rechtsvorschriften und zur Erfüllung ihrer Aufgaben Bankkonten eröffnen und Bankgeschäfte tätigen.
- (2) Jede Vertragspartei gewährt der Öffentlichkeit den ungehinderten Zugang zu den kulturellen Einrichtungen und ihren Veranstaltungen und gewährleistet deren übliche Tätigkeit. An Veranstaltungen, die von den kulturellen Einrichtungen durchgeführt werden, können auch Personen teilnehmen, die nicht Staatsangehörige der Vertragsparteien sind.
- (3) Die von den kulturellen Einrichtungen organisierte künstlerische und Vortragstätigkeit kann auch von Personen ausgeübt werden, die nicht Staatsangehörige der Vertragsparteien sind, sofern sie die Einreise- und Aufenthaltserfordernisse des Empfangsstaats erfüllen.
12. Erleichterungen verwaltungstechnischer Art können, soweit dafür ein Bedarf besteht, unter Berücksichtigung der Gegebenheiten in beiden Staaten in einer gesonderten Vereinbarung durch Notenwechsel zwischen den Vertragsparteien geregelt werden.